ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეორე სხდომა

თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეორე პროცესი გაიმართება. უფრო ზუსტად, მალე ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა გაიმართება, რის შემდეგაც ნაფიც მსაჯულთა ჟიური სამი წლის წინ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის საქმეს განიხილავს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანამედროვე ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში პირველად ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართული სასამართლო პროცესი დადებითად შეაფასა. კონსტანტინე კუბლაშვილი უზენაეს სასამართლოში იმ 15 ნაფიც მსაჯულს შეხვდა, რომლებმაც გასულ კვირას 17 წლის წინ მომხდარ დანაშაულის თანამონაწილეობაში ბრალდებულ რევაზ დემეტრაშვილს გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანეს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თქმით, მასთან საუბრისას ნაფიცმა მსაჯულებმა აღნიშნეს, რომ "საათები, რომელიც მსაჯულებმა ვერდიქტზე მსჯელობაში გაატარეს, უაღრესად დაძაბული იყო".

"მე მაინტერესებდა მათი დამოკიდებულება და შეფასებები სასამართლოსთან დაკავშირებით. მათ როგორც სასამართლოს ტექნიკური, ასვე პროცესუალური მხარეები დადებითად შეაფასეს. მე მათი საქმისადმი დამოკიდებულებით და მუშაობით კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება მათ მიმართ გამოტანილ ვერდიქტს მე ვერ შევაფასებ, რადგან ეს საზოგადოების გადაწყვეტილებაა," - განაცხადა კოტე კუბლაშვილმა, რომელმაც გაწეული შრომისთვის მადლობა მედიასაც გადაუხადა და აღნიშნა, რომ: **"მედიამ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართული სასამართლო პროცესები ისე გააშუქა, რომ ნაფიც მსაჯულთა მუშაობისთვის ხელი არ შეუშლია".**

12-მა ნაფიცმა მსაჯულმა 17 წლის წინ მინასიანების ოჯახში მომხდარი მკვლელობებისა და ყაჩაღობის საქმე განიხილეს და გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანეს.

ნაფიც მსაჯულთა ვინაობა მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით არ გახურებულა. თუმცა, ცნობილია, რომ მათგან 6 მამაკაცი იყო, 9 კი - ქალი, 12 - უმაღლესი, 2 - საშუალო, 1 კი საშუალო ტექნიკური განათლების მქონე.

ნაფიცი მსაჯულებიდან 6 35-დან 40 წლამდე ასაკის იყო, 2 - 41-დან 50 წლამდე ასაკის, 6 - 50-დან 60-მდე, 1 კი - 61-დან 65-მდე.

ნაფიცი მსაჯულებიდან 12 დასაქმებული გახლდათ, 3 კი - უმუშევარი.

სასამართლო პროცესი 17 წლის შემდეგ

17 წლის შემდეგ გახსნილი მინასიანების ოჯახის განზრახ მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა გრძელდება. საქმემ, რომელიც თანამედროვე ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში პირველად ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილეს და გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანეს, უკვე ჩვეულებრივ სასამართლო დარბაზში გადაინაცვლა.

რევაზ დემეტრაშვილისგან განსხვავებით, თბილისის საქალაქო სასამართლო დაუსწრებლად განიხილავს დამამძიმებელ გარემოებაში მომხდარ განზრახ მკვლელობასა და ყაჩაღობაში ბრალდებული ძმების ნუკრი და კობა გვრიტიშვილების და გელა ქავთარაძის საქმეს, რადგან სამივე მათგანი ამჯერად, წითელი ცირკულარით იძებნება. დემეტრაშვილის მსგავსად, გვრიტიშვილების და ქავთარაძის ბრალეულობასაც საფუძვლად მათივე მეგობრების, მსჯავრდებულების - გიორგი ოთარაშვილის, ლევან კიკაბიძის და ალექსანდრე რევაზიშვილის აღიარებითი ჩვენება უდევს. მეგობრებმა, რომლებიც ნარკოდანაშაულისთვის დააპატიმრეს, 17 წლის შემდეგ გაიხსენეს მინასიანების ოჯახში დატრიალებული ტრაგედია და ის პირებიც დაასახელეს, რომლებიც ამ დანაშაულში მათთან ერთად მონაწილეობდნენ.

მათი მონათხრობით, მკვლელობის მოკლე ისტორია ასეთია: დანაშაულებრივმა ჯგუფმა ძმებმა ნუკრი და კობა გვრიტიშვილებმა, გელა ქავთარაძემ, გიორგი ოთარაშვილმა, რევაზ დემეტრაშვილმა, ალექსანდრე რევაზიშვილმა და მალხაზ მოდებაძემ 1994 წლის თებერვალში, ფულის გამოძალვის მიზნით, ვაზგენ მინასიანი გაიტაცეს, შემდეგ კი დანაშაულის კვალის დასაფარად მინასიანების ოჯახზე ყაჩაღობის ინსცენირება მოაწყვეს და ოჯახის სამი წევრი ჩაცხრილეს.

სწორედ, ამ ჩვენებების საფუძველზე დააპატიმრეს სამართალდამცველებმა რევაზ დემეტრაშვილი, ხოლო ნუკრი და კობა გვრიტიშვილებზე და გელა ქავთარაძეზე გამოცხადდა ძებნა (მალხაზ მოდებაძე ამჟამად გარდაცვლილია).

რევაზ დემეტრაშვილმა მინასიანების ოჯახის ტრაგედიასთან კავშირი იმთავითვე უარყო და ამ საქმეში მისი დასახელება ლევან კიკაბიძის, ალექსანდრე რევაზიშვილის და გიორგი ოთარაშვილის მხრიდან სასჯელის შემსუბუქების იმედით ახსნა. სხვათა შორის, მინასიანების საქმის ერთ-ერთ მთავარ ბრალდებულს გიორგი ოთარაშვილს, რომელსაც წარდგენილი ბრალდების მიხედვით 18 წლით და 9 თვით პატიმრობა ემუქრებოდა, აღიარების სანაცვლოდ, პროკურატურამ საპროცესო გარიგება გაუფორმა და 6-წლიანი პატიმრობა აკმარა.

მიუხედავად ამ არგუმენტისა და რევაზიშვილის დაცვის მიერ წარდგენილი მტკიცებულებისა, პროკურატურამ რევაზიშვილის წინააღმდეგ შეკრებილი მტკიცებულებები საკმარისად მიიჩნია და ისინი განსასჯელად ნაფიც მსაჯულებს წარუდგინა. ნაფიცმა მსაჯულებმა პირადად მოისმინეს სამივე ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება, რაც ბრალდების მთავარი დასაყრდენი იყო.

ნარკოტიკს ვიკეთებდით, მაგრამ ფული აღარ გვქონდა და რევაზიშვილმა მითხრა, რომ მის მეზობლად ცხოვრობდა ცეხავიკი მინასიანი - 100-150 ათას დოლარს გაქაჩავს, მოსკოვში ბინა უნდა იყიდოსო... ეს ამბავი დემეტრაშვილს ვუთხარი, რამდენიმე დღეში საერთო მეგობრებს შევხვდით, მოვუყევით რევაზიშვილის მონათხრობი და გატაცების გეგმა დავგეგმეთ, - განუცხადა ნაფიც მსაჯულებს ლევან კიკაბიძემ.

მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებებიდან, რომლებიც ერთმანეთისგან ფაქტობრივად არ განსხვავდებოდა, გაირკვა, რომ რევაზიშვილის და კიკაბიძის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ვახტანგ გვრიტიშვილმა, მისმა ძმამ კობა გვრიტიშვილმა, გიორგი ოთარაშვილმა, გელა ქავთარაძემ, რევაზ დემეტრაშვილმა და მალხაზ მოდებაძემ, რომელიც გარდაცვლილია, 1994 წლის 18 იანვარს გაიტაცეს ნეშან მინასიანის 19 წლის ვაჟი ვაზგენ მინასიანი. მიცემული ჩვენებების მიხედვით, გამტაცებლების გეგმის მიხედვით, ქუჩაში მიმავალი ვაზგენ მინასიანი გააჩერა რევაზ დემეტრაშვილმა, რომელიც იმ დროს პოლიციაში მუშაობდა, პოლიციელის საბუთი აჩვენა და მანქანაში ჩაისვა ვითომდა, ნარკოლოგიურ ექსპერტიზაზე წაყვანის მიზნით. გამტაცებლებმა ვაზგენ მინასიანი სოფელ დიღომში მდებარე სახლში მიიყვანეს, სადაც ერთი კვირა ჰყავდათ დატყვევებული, ხოლო ოჯახისგან გამოსასყიდს - 150 ათას დოლარს ითხოვდნენ.

თანხის ნაწილის 10 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ ვაზგენა გავათავისუფლეთ. ორი კვირის მერე ბიჭებმა გაიგეს, რომ ვაზგენას მამას უთქვამს, ვიცი, ეგენი ვინ არიანო... თურმე, იმუქრებოდა, მაგათ არ შევარჩენო... საფრთხე გვექმნებოდა და გადავწყვიტეთ მოკვლა... კვალის დასაფარად ყაჩაღობის იმიტაციაც დავგეგმეთ.

თავიდან დავაზვრატებას ვაპირებდით, მერე სიტუაცია შეიცვალა და ჩვენი გეგმის მიხედვით, ოჯახის წევრები ერთ ოთახში უნდა შეგვეყვანა და იქ დაგვეხოცა... ყველას თავის როლი გვქონდა: მე პირველი სართულის კონტროლი მევალებოდა, რეზო დემეტრაშვილი ქვევით მანქანაში უნდა ყოფილიყო და რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში, პოლიციელის საბუთით ემოქმედა, კობა გვრიტიშვილს სროლა ევალებოდა... სახლში რომ შევვარდით, მე პირველ სართულზე დავრჩი, ბიჭი იყო ავად და იმას ვყარაულობდი. ბიჭებმა ოჯახის სხვა წევრები ზევით აიყვანეს... ისმოდა ფულის, ძვირფასეულობის მოთხოვნები, ხმაური... 2 წუთში გაისმა ავტომატიდან 3-4 გასროლის ხმა... ბიჭებმა ეგრევე ჩამოირბინეს და გვრიტიშვილმა თქვა, წავედით, დავხოცეთო... მანქანაში ჩავსხედით და წამოვედით... - ჩვენების ეს ფრაგმენტი გიორგი ოთარაშვილს ეკუთვნის.

სწორედ ეს ჩვენებები აღმოჩნდა ნაფიცი მსაჯულებისთვის საკმარისი იმისთვის, რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოეტანათ. იგივე ჩვენების მოსმენა მოუწევს ამჯერად უკვე პროფესიონალ მოსამართლეს, რომელსაც გვრიტიშვილების და ქავთარაძის გარეშე მოუწევს განსასჯელების ბრალეულობის შეფასება.

წითელი ცირკულარით ძებნილი ნუკრი და კობა გვრიტიშვილების და გელა ქავთარაძის სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში, მას შემდეგ დაიწყო, რაც ნაფიცმა მსაჯულებმა რევაზ დემეტრაშვილს გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანა, ხოლო სასამართლომ მას 14-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. მინასიანების საქმეს ამჯერად მოსამართლე ლელა ნოზაძე განიხილავს. შემდეგი სხდომა 12 დეკემბერს არის ჩანიშნული და არ არის გამორიცხული, რომ ბრალდების მხარემ დასაკითხად ისევ მოწმეები კიკაბიძე, რევაზიშვილი და ოთარაშვილი გამოიძახოს.

სასამართლოს ქრონიკა
5 დეკემბერი, 2011 წელი

სასამართლოს როლი მშობლების უფლებების დადგენაში

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია ყოფილ მეუღლეებს შორის შვილებთან დაკავშირებული დავების შემთხვევები. ამ შინაარსის დავები ხშირად სასამართლომდე არც აღწევს და ხშირ შემთხვევაში, საკამოდ რთულ ფორმებსაც იღებს. არადა, მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად. გარდა მოვალეობისა და უფლების შეზღუდვისა, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს კიდეც მშობლის უფლება.

ერთმანეთზე განაწყენებული განქორწინებულები, ხშირ შემთხვევაში, ბოლოს იქმადე მიდიან, რომ ყოფილი მეუღლისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევას ითხოვენ.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2009 წელს, სასამართლოებში, ასეთი მოთხოვნით, სულ 56 საქმე შევიდა. აქედან, გადაწყვეტილების გამოტანით დასრულდა 35 საქმე. სარჩელი დაკმაყოფილდა 32 შემთხვევაში. 2010 წელში სასამართლოებში ამ სახის დავასთან დაკავშირებით, 172 სარჩელია შესული, საიდანაც დაკმაყოფილებულია 67 სარჩელი.

მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება და აქვთ უფლება, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა. მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან.

მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის - სასამართლოში.

სამოქალაქო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ერთ-ერთი სიახლის თანახმად, არასრულწლოვანს აქვს დაცვის უფლება მშობელთა მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, მშობელთა (ერთ-ერთი მშობლის) მიერ ბავშვის აღზრდასთან, განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, 14 წლის ასაკიდან კი - სასამართლოს.

როგორც სასამართლოში განმარტავენ, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს. კანონის შესაბამისად, შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით.

თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას, იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

რაც შეეხება მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევას.

მშობლის უფლების ჩამორთმევა უკიდურესი ზომაა და რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო. კანონმდებლობის მიხედვით, მშობელს, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობის შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს - ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ან რომელიც ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ჩამოერთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა. მსგავსი შინაარსის საქმეებზე სასამართლოებში გადაწყვეტილება ბავშვის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით გამოდის.

კანონმდებლობა მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენის მექნიზმსაც ითვალისწინებს. უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, უფლებაჩამორთმეულ მშობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა მოითხოვოს.

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით, ბავშვის, ერთ-ერთი მშობლის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის საფუძველი აღარ არსებობს.

სააპელაციო საჩივრის საფუძვლები და მომჩივანის უფლებები

ვის აქვს სააპელაციო წესით განაჩენის გასაჩივრების უფლება, რა ვადას ითვალისწინებს კანონი სააპელაციო საჩივრის შეტანისთვის, სად უნდა შევიდეს სააპელაცი საჩივარი და რა კომპეტენცია აქვს სააპელაციო სასამართლოს? რა შემთხვევაში შეუძლია მეორე ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად, გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან მიიღოს მსჯავრდებულისთვის სასიკეთო სხვა გადაწყვეტილება - ეს საკითხები იმ მოქალაქეების ინტერესის საგანია, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით უკმაყოფილონი არიან და საკუთარი უფლებების დაცვას ზემდგომ ინსტანციაში გეგმავენ.

სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც აპელანტს უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მიაჩნია.

სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს, მსჯავრდებულს. ადვოკატს უფლება აქვს, შეიტანოს სააპელაციო საჩივარი მხოლოდ მაშინ, როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.

სააპელაციო საჩივარი უნდა შევიდეს განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში და მასში მითითებული უნდა იყოს იმ სასამართლოს დასახელება, სადაც უნდა გადაიგზავნოს საჩივარი.

გარდა აპელანტის სახელისა და გვარისა და საცხოვრებელი ადგილისა, სააპელაციო საჩივარში მითითებული უნდა იყოს გასაჩივრებული განაჩენის გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი; განაჩენის გასაჩივრებული დებულებები და ამ დებულებების

უკანონობის ან დაუსაბუთებლობის არსი. სააპელაციო საჩივარში მითითებული უნდა იყოს ასევე მომჩივანის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის ახალი, რომელიც უნდა გამოიკვლიოს სააპელაციო სასამართლომ. სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებული უნდა იყოს, თუ რა ნაწილში საჩივრდება განაჩენი, და საჩივრის დამადასტურებელი არგუმენტები.

განაჩენის გამომტან სასამართლოში შეაქვთ სააპელაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ იგი ამ სასამართლომ გადასცეს მხარეს. სასამართლო სააპელაციო საჩივრის ასლს არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის მეორე მხარეს, რათა მან წარადგინოს საჩივრის შესაგებელი. მეორე მხარემ სასამართლოს შესაგებელი უნდა წარუდგინოს საჩივრის ასლის მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. აპელანტს უფლება აქვს, სასამართლოსაგან მიიღოს სააპელაციო საჩივრის შესაგებლის ასლი.

საქმე, საჩივარი და მისი შესაგებელი პირველი ინსტანციის სასამართლოდან იგზავნება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლო საჩივრისა და საქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს. თუ საჩივარი არ შეესაბამება კოდექსის შესაბამის მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აპელანტს აძლევს 5 დღის ვადას საჩივრის ხარვეზის შესავსებად. თუ აპელანტი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. თუ აღნიშნულ ვადაში აპელანტი შეავსებს ხარვეზს, სააპელაციო სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება საჩივრის დასაშვებად ცნობის თაობაზე და ნიშნავს სააპელაციო სხდომის თარიღს.

სააპელაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე. სასამართლო უფლებამოსილია დანიშნული სასჯელი ზეპირი მოსმენის გარეშე შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით.

აპელანტს უფლება აქვს, შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და აღარ გასაჩივრდება. საპელაციო საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულება გამოკვლეულია კანონის არსებითი დარღვევით და მხარე აყენებს შუამდგომლობას ამგვარი მტკიცებულების ხელახლა გამოკვლევის თაობაზე.

მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი მტკიცებულება შეაძლოა გამოკვლეული იყოს სააპელაციო სასამართლოში, თუ შუამდგომლობის ავტორი დაასაბუთებს, რომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასასაბუთებლად და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მისი წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო. კოდექსის თანახმად,

მტკიცებულებების გამოკვლევა არ უნდა გასცდეს სააპელაციო საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებს. სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლო განაჩენით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს; აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს;

ცვლილება შეაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში; უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს უფლება არა აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად, გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან მიიღოს მსჯავრდებულისთვის არასასიკეთო სხვა გადაწყვეტილება, თუ საქმე განიხილება მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის საჩივრის საფუძველზე და ბრალდების მხარეს საჩივარი არ შეუტანია.

ს�ააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.